ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №40-ს

ქ.თბილისი 31 მაისი, 2016 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის რევაზ ბეჟაშვილის მიერ და მეორეს მხრივ ა(ა)იპ „საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი"(შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი რექტორის ლაშა გოცირიძის მინდობილი პირის ირაკლი თაქთაქიშვილის მიერ (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: 1511981730) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში ქ. თბილისი მახათის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაკვეთებზე ნიადაგის ლაბორატორიული კვლევის მომსახურების (საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1" ქვეპუნქტი) (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება 71900000 - ლაბორატორიული მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 778 (შვიდასსამოცდათვრამეტი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. ჩასატარებელი კვლევების რაოდენობა, ერთეულის ღირებულება და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი #1–ში.

3.2. ხელშეკრულების დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილას

მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. მიმწოდებლის ლაბორატორიაში მისამართი: კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კორპუსი. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #240.

4.2. ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მახათის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ნაკვეთებზე მიმწოდებლის მიერ აღებულ ნიადაგის ნიმუშებზე.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ერთეტაპად ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტს მიმწოდებლის მხრიდან ხელს მოაწერს ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის და ბუნების დაცვის ლაბორატორიის გამგე თეო ურიშაძე.

5.3. მომსახურების დამთავრებისთანავე მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებაზე ლაბორატორიულ დასკვნას ასევე მიღება-ჩაბარების აქტს, ლაბორატორიული კვლევის დასკვნას და ანგარიშ ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1.ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2.ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2. კეთილსინდისიერად დამაღალ პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3.დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მუხლი 8. მხარეთა უფლება

8.1.მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

►ული 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან

დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით

ოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით1 გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ივანე აბაიაძე.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:
15.2.1. მომსახურების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
15.2.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;
15.2.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით.

მუხლი 17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 3ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან".

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"
სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა"
გარდაბნის მუნიციპალიტეტი
სახელმწიფო ხაზინა
სახაზინო კოდი TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კ № 226575024

რევაზ ბეჟაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"
შპს ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ
უნივერსიტეტი"
კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კორპუსი. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #240.
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
კოდი #LBRTGE22
ა/ა № GE72LB0121134383911030
ს/კ №211325653

ირაკლი თაქთაქიშვილი
მინდობილი პირი

დანართი 1

#	საანალიზო ნივთიერება/პარამეტრი	ნიმუშების რაოდენობა	ერთეულის (1 ნიმუშის) ღირებულება	საერთო ღირებულება (ლარი)
1	არეს რეაქცია PH	4	12	48
2	ჰიგროსკოპული წყალი	4	7	28
3	კარბონატების შემცველობა	4	11	44
4	აზოტი	4	40	160
5	კალიუმი	4	34	136
6	ფოსფორი	4	35	140
7	ჰუმუსი–ორგანული ნივთიერებები	4	25	100
8	ხსნადი მარილები	5	7	35
9	მექანიკური შედგენილობა	1	37	37
10	დასკვნის მომზადება	1	50	50
				სულ 778

„შემსყიდველი“
სსიპ „ეროვნული საშენი მეურნეობა“
გარდაბნის მუნიციპალიტეტი

„მიმწოდებელი“
შპს ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ
უნივერსიტეტი G
კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კორპუსი. ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი #240.

რევაზ ბეჟაშვილი
დირექტორი

ირაკლი თაქთაქიშვილი
მინდობილი პირი